



**ვლადიმერ ასლამაზიშვილი
ციცქას თავგადასავალი**

პროექტის ხელმძღვანელი: ნინო ზაზარაშვილი

რედაქტორი: ლალი ბაქრაძე

ილუსტრატორი: თიკო გოგიტიძე

სერიის დიზაინერი: დავით ჯანიაშვილი

დამკაბადონებელი: ნინო გურული

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2025
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-901-9

www.diogene.ge

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

ციცქას

თავგადასავალი



სარჩევი

პირველი ნაწილი	7
როგორ გაჩნდა თოჯინა ბიჭი, რომელსაც ღილის თავი ჰქონდა	9
ციცქას მთვარე ნაზუქი ჰგონია.....	17
მგელთან შებრძოლება, რითაც ციცქამ ძელი მონადირები გადარია	21
ციცქა ქალაქს მიდის	28
ბრძოლა ჭიჭყინებთან.....	38
ომთა ქვეყნის მეფე ცოფებს ჰყრის.....	49
ბაბუანვერა ეძებს პატარებს	58
ციცქა ისეთ რამეს დამართებს, რომ ყურფამფალა მეფე ცრემლად იღვრება	66
ციცქა ვირთხას გაეცნობა. ქაფი და ქოთანა მძვინვარებენ...	75
პროფესორების გასაჭირო.....	92
ციცქა და კლაპიტონა კონსერვის ქილაში იძინებენ.....	98
სად გაქრა კლაპიტონა?.....	105
ციცქას ხელახლა დატყვევება ომთა ქვეყნის ალსასრული	112
მეორე ნაწილი	127
ქარიშხალი. მშვიდობით, ბებიკო.....	129
რას არ ნახავ ქვეყანაზე	132
შოკოლადის ქალაქი.....	137
ძალი ქოქია და სევდიანი უფლისწული	149
ორგანიზაცია „გიურ თავისუფალია“ და „პირდაუბანელები“	154
მოტორა.....	167
რა გადახდათ თხუპნიერში	172
მინისქვეშა მანქანა „თხუნელა“	181
ბენვზე მიუსწრეს	187
ჰოდა, აი, რა მოხდა	198
დედოფუალი მზისა	205
ჯერ ქოქია გაქრა, მერე – დორე	209
ჭანჭიკელა დავალების შესასრულებლად მიდის, მაგრამ.....	215
ფიცხელი ომის მერე ყველაფერი კეთილად მთავრდება	220

პირველი ნაწილი



როგორ გაჩნდა თოჯინა ბიჭი, რომელსაც ლილის თავი ჰქონდა

ვფიქრობ, ვფიქრობ და იმ სოფლის სახელი ვეღარ გა-
მიხსენებია, სადაც მარტოხელა დედაბერი ცხოვრობდა. დე-
დაბერს, რომელსაც ყველა, უბრალოდ, ბებიას ეძახდა, ერთი
წაბლა ძროხა და ბებერი შავი კატა ჰყავდა. გათენდებოდა
თუ არა, წაბლა საძოვარს მიაშურებდა, დედაბერი ბოსტან-
ში ფუსფუსებდა, მთელი ღამე თაგვებზე ნადირობით მოღ-
ლილი შავი კატა კი იწვა სადმე მყუდროზე და თვლემდა.


ერთ დღეს დედაბერმა ბოსტანში თოჯინა იპოვა. თო-
ჯინას თავი პირისფერ ნაჭერში ამოკერილი პალტოს დიდი
ღილისა ჰქონდა, ტანი – ჩხირებისა, ჩხირებს მეტი სიმტკი-
ცე და სიმსხო რომ ჰქონოდა, მის გამკეთებელს ძონძები
დაეხვია. ეს იყო და ეს. თოჯინა მიწაში თავჩარგული ეგდო
და ზედ ჭიანჭველები დაფუთფუთებდნენ.

დედაბერი თოჯინას მიწისა და ჭიანჭველებისგან ასუფ-
თავებდა და თან გული დარდით ევსებოდა. დიდი ხნის წი-

ნათ, როცა პატარა გოგონა იყო, თვითონაც ხომ სწორედ ამისთანა თოჯინებით ერთობოდა. დედაბერმა თოჯინა შინ წაიყვანა, ხელსაქმის ბოხჩა გახსნა, იქიდან ფერად-ფერადი ჩითის ნაკუნძები ამოყარა და საქმეს შეუდგა. მალე თოჯინას ზღვასავით ლურჯი შარვალი და თეთრი, ცისფერწინ-ნკლებიანი ხალათი შეუკერა.



ღილისთავიან თოჯინას შარვალ-ხალათი ძალიან მოუხდა, მაგრამ მაინც რაღაც აკლდა. დედაბერი დაფიქრდა და მოიფიქრა კიდეც – თოჯინას ქოჩორი არა ჰქონდა. აიღო შავი აბრეშუმის ძაფი, თოჯინას ღილის თავზე მიაწება და მაკრატლით ისე მიკრიჭ-მოკრიჭა, რომ კაი ლაზათიანი ქოჩორი გამოვიდა. მერე იმ ქოჩორზე ვარდივით წითელი ნაბდის პანაწკინტელა ქუდი წამოასკუპა.



დედაბერი ისევ ჩაფიქრდა, ვნახოთ, კიდევ რა აკლია ჩემს თოჯინასო.

— უი, ცხვირ-პირი არა აქვს, — ლოყაზე ხელი იტკი-ცა დედაბერმა. მოძებნა ფანქარი და თოჯინას თვალები, ცხვირი და პირი მიახატა. ასე დაიბადა თოჯინა ბიჭი.

ბავშვებო, მოდით იმ თოჯინა ბიჭს დაგიხატავთ, აბა, დააკვირდით. სწორედ ასეთი გახლდათ თოჯინა ბიჭი. არ ვიცი, თქვენ მოგეწონათ თუ არა, დედაბერს კი ძალიან მოეწონა. უყურა, უყურა და ინატრა, თოჯინას ენა რომ ჰქონდეს, რა ბედნიერი ვიქენებოდიო.

ამის თქმა იყო და თოჯინა ბიჭს ფანქრით მოხატული სახე გამოუცოცხლდა, გაიღიმა და თქვა: — ბებიკო, ნახე, ენა მაქვა!

ამის გაგონებაზე დედაბერი სიხარულით ცას ეწია და ახლა სხვა რამე ინატრა:

— ნეტავი ხელ-ფეხიც ისეთი გქონდა, პატარა ბიჭივით გერბინ-გეხტუნა, გულს გამიხალისებდი. — დედაბერს ეს სიტყვები რიგიანად არ დაემთავრებინა, რომ თოჯინა ბიჭ-მა მართლა ხელების ქნევა და ხტუნვა დაიწყო.

უსაზღვროდ ბედნიერი დედაბერი ახლა იმაზე დაფიქ-რდა, თოჯინა ბიჭისთვის რა დაერქმია. იფიქრა, იფიქრა და, რადგან თოჯინა ერთი ციცქნა იყო, ციცქნა უწოდა.

ციცქნა ბიჭმა ხტუნვა-სირბილი იცოდა და შინ რა გაა-ჩერებდა. მალე ეზოში გაჩნდა. იქ რაც პირველად დაინა-ხა, დედაბრის შავი კატა იყო. გაოცებული ციცქნა კატას

ათვალიერებდა. არანაკლებ გაკვირვებული გახლდათ შავი კატა, ამისთანა თოჯინა არსად ენახა.

- მიაუ, საოცარია! – დაიკნავლა მან.
- შენ ვინა ხარ? – ჰკითხა ციცქამ.
- მიაუ!
- მიაუ, რატომა გაქვს დიდი ულვაშები? – ციცქამ კატას ულვაშში ხელი წაატანა, მაგრამ შავმა კატამ თავი შორს დაიჭირა, უკმაყოფილოდ დაიჩხავლა და ეზოში მდგარ თუთის ხეზე შეხტა.

ციცქა ეზოში ხეტიალს მოჰყვა. მას ხომ არაფერი ენახა! ამიტომ ცხვირს ყველგან ჰყოფდა, ყველაფერი აინტერესებდა. ჭაში რომ ჩაიხედა და სარკესავით კამკამა წყალში თავისი თავი დაინახა, ეგონა, დაბლიდან ჩემი ტოლი ბიჭი მიყურებსო. გაუხარდა და დაუძახა:

- შენ ეი, რას აკეთებ მანდ?
- ჭაში ჩამძვრალმა ბიჭმა იმწამსვე გაიმეორა მისი სიტყვები:
- შენ ეი, რას აკეთებ მანდ?
- არაფერს. შენა? – ისევ ჩაეკითხა ციცქა.
- არაფერს. შენა? – გაიმეორა ჭამ.
- ამოდი, ერთად ვითამაშოთ, – შესთავაზა ციცქამ.
- ამოდი, ერთად ვითამაშოთ! – იყო პასუხი. მოკლედ, ციცქას რაც არ უნდა ეთქვა, ჭაში ჩამძვრალი პირწმინდად იმეორებდა.

ციცქნას ეგონა, ბიჭი მასხრად მიგდებსო და გაუბრაზდა:
– შენისთანა სულელი მეორე არ მეგულება ქვეყანაზე.
ეს სიტყვებიც, რა თქმა უნდა, ჭაში ჩამძვრალმა უშეც-
დომოდ გაიმეორა, რამაც ციცქნა მთლად გადარია.

ეს ამბავი არ გამოჰქმარვია თუთის ხეზე ასულ შავ კა-
ტას, უსმენდა ციცქნას, ხედავდა, როგორ ჯავრობდა ის და
ულვაშებში ბოროტად ეცინებოდა. მას უკვე სძაგდა ღილის-
თავიანი ბიჭი, იცოდა, სანამ ის იმ ეზო-ყურეში იტანტალებ-
და, მშვიდად ვერ იქნებოდა. ვინ დადგებოდა იმის თავდე-
ბად, რომ ერთ დღეს მძინარეს მაკრატლით ულვაშებს არ
შეაკრეჭდა ან წალდით ძირში არ მიასხებდა ფაფუკ კუდს.

„ეს ბიჭი თავიდან უნდა მოვიცილო“, – გაიფიქრა შავ-
მა კატამ და ისე დაიკნავლა, რომ ციცქნას გაეგო. – მიაუ,
რას უყურებ, ჩადი ჭაში და მაგრად მიტყიპე.

ციცქნასაც ეს უნდოდა, ჭაში მაშინვე თავდაყირა გა-
დაეშვა. ბუყ, ბუყ, – აბუყბუყდა წყალი. ციცქნა ფსკერის-
კენ ქვასავით წავიდა. ალბათ, იქ იპოვიდა სამუდამო ბინას,
ერთ მწვანე გომბეშოს რომ არ ეშველა. გომბეშომ ციცქნა
მაღლა ამოიყვანა, კედლიდან გამოშვერილ ხავსმოდებულ
ქვაზე შესვა, თვითონ კი წყალში ჩაიმალა.

მთლად განუწული ციცქნა აქეთ-იქით იცქირებოდა, იმ
ბიჭს ეძებდა, მაღლიდან რომ მოჩანდა, მაგრამ ირგვლივ
ჭის ნესტიანი კედლებისა და მოკამკამე წყლის მეტი არა-
ფერი იყო.

- ნეტავი, ვინ გადამარჩინა? – იკითხა ხმამაღლა.
 - მწვანე გომბეშომ წყლიდან თავი ამოყო.
 - ჩეყემს გაყარდაყა ვიყის შეყეძლოყო შეყენიყი შვეყელაყა! – რაც ჩვენებურად ნიშნავს: ჩემს გარდა ვის შეეძლო შენი შველაო.
 - ვინა ხარ? – ჰკითხა გაკვირვებულმა ციცქამ.
 - გოყომბეყეშოყო!
 - გომბეშო, ერთი მითხარი, წელან ვინ მპასუხობდა ჭიდან?
 - შეყენს ხმაყას ჭაყა იყიმეყეოყორეყებდაყა! – შენს ხმას ჭა იმეორებდაო.
- ციცქამ თავზე ხელი შემოიკრა და გაიცინა:
- აი, შე ჩერჩეტო ჩემო თავო, როგორ შევცდი.
 - ყიყი, ყიყი, – მხიარულად აყიყინდა გომბეშოც და ჭა ისეთი მჭექარე ხმებით გაივსო, თითქოს მთელი ბაყაყეთი იქ შეიყარაო. სიცილით გული რომ იჯერეს, ციცქამ გომბეშოს უთხრა: სანამ დედაბერი მომძებნიდეს, წყალში ცურვა მასწავლე, ვინ იცის, სად გამომადგესო. გულკეთილი გახლდათ გომბეშო და ციცქას საქვეყნოდ განთქმული ბაყაყური ასწავლა.

გვიანი საღამო იყო, დედაბერმა ციცქა რომ მოიკითხა. შავმა კატამ იცოდა ციცქას ასავალ-დასავალი, მაგრამ ხმა არ ამოუღია. ეგონა, ღილისთავიანი ბიჭი, წელან ულვაშებში რომ მწვდა, ჭაში დაიხრჩო და გულში ზეიმობდა.

დედაბერმა მთელი ეზო მოჩხრიკა. სწორედ მაშინ, როცა ჭასთან იდგა და ფიქრობდა, სად იქნება ჩემი შვილობილიო, ჭიდან ციცქნას ხმა შემოესმა:

– ბებია, ეჰეეე!

– აი, სად ყოფილა, – სიხარულით შესძახა მოხუცმა და ჭაში ვედრო სწრაფად ჩაუშვა. ციცქნა და გომბეშო შიგ ჩახტნენ და მალე ზევით აქანდნენ.

– გმაყადლოყობთყ! – მწვანე გომბეშომ მადლობა გადაუხადა დედაბერს და კომბოსტოს კვლებში გაუჩინარდა.

იმ საღამოს დედაბერმა ბუხარში დიდი ცეცხლი დაანთო. მთლად სველი, გალუმპული ციცქნა ცეცხლის ალზე მანამდე ატრიალა, სანამ კარგად არ გამოაშრო, თან ჭკუას არიგებდა:

– გახსოვდეს, სადაც შენი საქმე არ არის, ცხვირს ნუ წაჰყოფ, თორემ თავს დაიღუპავ. ერთი მითხარი, რა გინდოდა ჭაში?

ციცქნა დაჰპირდა, ჭაში სულაც არ ჩავიხედავ, ყოველთვის ჭკვიანი და გამგონე ბიჭი ვიქნებიო, მაგრამ როგორც ყველა ბავშვს სჩვევია, ისიც დიდი ცნობისმოყვარე გახლდათ და იმ ლამეს კინალამ ისევ ცნობისმოყვარეობის მსხვერპლი გახდა.

ციცქნას მთვარე ნაზუანი ჰგონია...

ციცქნა თვალებდაჭყეტილი იწვა ფანჯარასთან და
თუთის ტოტებში შემოპარულ ვეებერთელა, კომშივით ყვი-
თელ მთვარეს შესცეკეროდა.

– ნეტავი, როგორია მთვარე, ცივია თუ ცხელი? – ფიქ-
რობდა ის.

ამ დროს ლამის სიჩუმეში სახლის სახურავიდან ასეთი
სიმღერა მოისმა:

ლამეა, რა ლამეა,
ცაზე ბადრი მთვარეა,
ბადრი მთვარე კი არა,
ნაზუქია ყვითელი,
გემრიელი, რბილი,
შაქარივით ტკბილი.
ვინც მისწვდება მთვარეს,
შეჭამს, გაიხარებს.
მიაუ, მიაუ, მიიიი.

სიმღერა მიწყდა. ციცქნამ, რა თქმა უნდა, კარგად მოის-მინა, რომ მთვარე არც ცივია, არც ცხელი, ის არის ტკბი-ლი, გემრიელი ნაზუქი. ციცქნას უცებ პირს ნერწყვი მოად-გა. ასე ეგონა, პირში იმ ნაზუქის ერთი ლუქმა ედო, ახლა თუთის ტოტებში რომ გაჩხირულიყო. მას რომ სცოდნოდა, ამ სიმღერას ვინ კნაოდა, იქნებ ნაზუქი-მთვარის გემოს გა-სინჯვაზე ხელი აეღო. მაგრამ ისე ძალიან უნდოდა, ცოტა მაინც მოეკბიჩა ნაზუქი, რომ აღარ დაუხანებია და ფანჯრი-დან პირდაპირ ეზოში გადახტა, თუთის ხესთან მიირბინა და ზედ აძვრა. მერე იმ ტოტზე გაცოცდა, სადაც მთვარე ქათქათებდა, მაგრამ აი, საოცრება! ტოტებში გაჩხირულმა „ნაზუქმა“ შეუმჩნევლად სახლის სახურავზე გადაინაცვლა და ახლა იქიდან შემოსცინა. ციცქნას სახურავზე გადასვლა არ გასჭირვებია, რადგან ტოტი ზედ იყო გართხმული.

ციცქნა სახლის სახურავზე გადახტა და მთვარეს შეხე-და. მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ეეე, ნაზუქი ცაში ისე მაღლა წასულიყო, რომ ათასი კიბე უნდა გადაგება იქ ასასვლელად.

იხტიბარნამხდარი თოჯინა ბიჭი დიდხანს უყურებდა კომშივით ყვითელ მთვარეს. ვერ გაეგო, თუთის ტოტს რო-გორ მოსწყდა, მერე სახლის სახურავზე როგორ გადაგორ-და, ან უცებ ცაში როგორ აიჭრა „ნაზუქი“, ან ვინ მღეროდა ისე ტკბილად სახლის სახურავზე, როცა იქ კრამიტებისა და შავად ასვეტილი საკვამურის მეტი არაფერი იყო?

ციცქნა დაბლა ჩაცოცებას აპირებდა, რომ სწორედ საკვამურის ახლოს ორმა ნაკვერჩხალმა გაიელვა და მიიმალა.

ციცქნას ისევ აეშალა ცნობისმოყვარეობის საღერღელი და მაშინვე საკვამურთან მიირბინა, გარშემო შემოუარა, მაგრამ ვერაფერი იპოვა. ცოტა მაღლა რომ აეხედა, კარგად დაინახავდა საკვამურზე წამოსკუპებულ მიაუს, რომელსაც თვალები ნაკვერჩლებივით უელავდა და თავზე ბოროტად დასცექეროდა. ციცქნამ ერთხელ კიდევ შემოუარა საკვამურს და იმედგაცრუებული უკან გამობრუნდა. ორიოდე ნაბიჯიც არ გადაედგა, რომ უცებ ვიღაც ბრაზიანი ჩხავილით დაეცა თავზე.

ციცქნამ არ იცოდა, რა იყო შეში. შავი კატა თავზე რომ დაახტა და ბრჭყალები ჩაასო, ერთ წუთსაც არ დაბნეულა, მუშტები პირდაპირ ცხვირ-პირში დასცხო.

– მე შენ ისეთ დღეში ჩაგაგდებ, ბებიაშენმაც ვერ გიცნოს! – ჩხაოდა მიაუ და ბოროტად ხითხითებდა. შავი კატა, ალბათ, აასრულებდა კიდეც მუქარას, თოჯინა ბიჭს მისი ულვაშები რომ არ მოეხელთებინა, ხელები მაგრად არ ჩაევლო და არ მოექაჩა.

შავ კატას თავისი ულვაშები ქვეყანას ერჩივნა, მსხვერპლს თათები უშვა და ციცქნამაც თავს უშველა.

ციცქნა მიხვდა, რომ მთვარე ნაზუქი არ ყოფილა და მიაუმ ეს ყველაფერი მის გარეთ გამოსატყუებლად მოიგონა.

მეორე დღეს ადრე გაეღვიძა. გაახსენდა წუხანდელი ბრძოლა, გაახსენდა, მაგრამ ვერ გაეგო, რა უნდოდა მის-გან შავ კატას, რატომ უპირებდა შეჭმას. ციცქნა მიაუს ეძებდა, ის კი, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, არსად ჩანდა.

შავი კატის ძებნაში ციცქნა კრაზანას გადაეყარა.

— ეს რაღა ჩიტია? — გაიფიქრა და ხელი წაატანა. გა-ჯავრებულმა კრაზანამ ხელში ნესტარი გაუყარა და მწა-რედ ინანა, ნესტარი ვეღარ ამოაძრო, ზედ შეატოვა და ისე გაფრინდა.

ციცქნას ძალიან მოეწონა კრაზანის ნესტარი.

— თუ მიაუ კიდევ დააპირებს ჩემს შეჭმას, მწარედ ვა-ნანებ, — თქვა მუქარით და ნესტარი ქუდის ნაკეცში შეინა-ხა. მერე ნახავთ, ამ პატარა ნესტარმა რა დიდი სამსახური გაუწია ღილისთავიან ბიჭუნას.